

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მსუბუქი ავტომობილისთვის (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა და კლასიკური ავტომობილისა) და მოტოციკლისთვის (მოპედის ჩათვლით) – მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;“.

2. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

4	8703	მსუბუქი ავტომობილი (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა და კლასიკური ავტომობილისა) (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ ³			
		ა) 1 წლამდე	1 სმ ³	1.5	
		ბ) 1 წლის	1 სმ ³	1.5	
		გ) 2 წლის	1 სმ ³	1.5	
		დ) 3 წლის	1 სმ ³	1.4	
		ე) 4 წლის	1 სმ ³	1.2	
		ვ) 5 წლის	1 სმ ³	1.0	
		ზ) 6 წლის	1 სმ ³	0.8	
		თ) 7 წლის	1 სმ ³	0.8	
		ი) 8 წლის	1 სმ ³	0.8	
		კ) 9 წლის	1 სმ ³	0.9	
		ლ) 10 წლის	1 სმ ³	1.1	
		მ) 11 წლის	1 სმ ³	1.3	
		ნ) 12 წლის	1 სმ ³	1.5	
		ო) 13 წლის	1 სმ ³	1.8	
პ) 14 წლის	1 სმ ³	2.1			
ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ ³	2.4			

“;



ბ) მე-9 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი:

„10. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული კლასიკური ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთია 1.0 ლარი ძრავის მოცულობის 1 სმ³-ზე.“.

მუხლი 2. შესაბამისმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა 2023 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტების მიღება/გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამავე კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივნისიდან.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

16 მაისი 2023 წ.

N2882-XIმს-Xმპ

